



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245428158 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|--|--|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მედიცინა | |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა | |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | დიპლომირებული მედიკოსი | |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0912 მედიცინა | |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | | |
| სწავლების ენა | ქართული | |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 360 წელი | |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 361 25.11.2011 ვადის ამოწურვის თარიღი 01.07.2021 | |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|--|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | პროფესორი მაირი სკოტი, დანდის უნივერსიტეტი, შოტლანდია, გაერთიანებული სამეფო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, | პროფესორი ხათუნა საგანელიძე, |

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| ქვეყანა) | ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ასოცირებული პროფესორი თამარ გოდერიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი გაბისონია, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით მაკასარაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოფიციალურად დაარსდა 1990 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე. როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტი, გაიზარდა მისი ზომა, მასშტაბი და ჩარჩო და ახლა შედგება 7 ფაკულტეტისგან, მათ შორის ერთ-ერთია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი. ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს მთელ რიგ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, მათ შორის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას სტომატოლოგიაში, მედიცინაში (ქართულ და ინგლისურ ენაზე). წინამდებარე ანგარიშის განსახილველი პროგრამაა დიპლომირებული მედიკოსი (ქართული).

პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2011 წლის 25 ნოემბრის N361 გადაწყვეტილება) და აგებული იყო ისე, რომ შეესაბამებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებს, კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს და მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამა 6 წლიანია, რომელიც მოიცავს 12 სემესტრის განმავლობაში 360 კრედიტის მინიჭებას. იგი ნაწილობრივ ინტეგრირებულია (ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად) და სტრუქტურირებულია სამ ეტაპად - საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური. იმისათვის რომ სტუდენტებს პროგრამის დასაწყისიდანვე განუვითაროს კლინიკური აზროვნებისა და საბაზისო კლინიკური უნარები, პროგრამა იყენებს PBL, CBL შერეულ მეთოდოლოგიას, შეფასებები ასევე შერეულია ტრადიციული ესეებისა და OSCE/OSPE გამოცდებით, პირველ ორ ეტაპზე. კლინიკურ ეტაპზე შეფასება ხდება აქტივობების 360 გრადუსით დაკვირვებით, რაც ხდება კლინიკაში განთავსებით, მთელი რიგი კლინიკების ფარგლებში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს გაეგზავნა 2021 წლის 9 ივლისს. ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა კონკრეტული სტანდარტების იდენტიფიცირება და გადანაწილება საკუთარი ექსპერტიზის მიხედვით, თუმცა ყველა წევრმა წაიკითხა ყველა დოკუმენტი და მოამზადა საკვლევი სფეროები ორდღიანი შეხვედრისთვის, რომელიც დაიგეგმა 2021 წლის 22/23 ივლისს. 2-დღიანი დისკუსიები ჩატარდა დისტანციურად, „ზუმის“ პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელთა დამატებაც საჭირო იყო დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების სახით, აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენა მოხდა ვიზიტის დასრულების შემდეგ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ასოცირებულ კლინიკებში ადილზე ვიზიტი განხორციელდა 23 ივლისს, ადგილზე ფიზიკურად მივიდა ექსპერტთა ჯგუფის ორი წევრი, ხოლო დანარჩენები ვიზიტში მონაწილეობას ვიდეოზარის მეშვეობით იღებდნენ.

დღე 1 და 2 - შეხვედრები: შეხვედრები ჩატარდა წინასწარდაგეგმილი განრიგის მიხედვით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთა, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებასთან და დამატებითი ვიზიტი შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა დაუსვა კითხვები უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და თავისი წვლილი შეიტანა ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტისთვის მიცემულ არაფორმალურ უკუკავშირში.

ადგილზე ვიზიტის მეორე დღე: მართალია ექსპერტთა ჯგუფის 5 წევრიდან მხოლოდ ორმა შეძლო ფიზიკურად განეხორციელებინა ვიზიტი, თუმცა მობილური ტელეფონის ვიდეო-კამერის მეშვეობით, ყველა წევრმა შეძლო ვიზიტში მონაწილეობის მიღება, რამაც დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა ექსპერტებს და ასევე მისცა შესაძლებლობა, დისტანციურად დაესვათ კითხვები. ვიზიტისათვის შერჩეულ სპეციალურ სივრცეებს განეკუთვნებოდა სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების ცენტრი (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის - OSCE ოთახების ჩათვლით), ლაბორატორიები (მათ შორის დასავლეთ საქართველოს რეგონული ქრომატოგრაფიის ცენტრი) და ის ადგილები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შეკრება სოციალური მიზნებით ან სამეცადინოდ. სტუდენტური პორტალის (ჩაამატეთ ბმული) სადემონსტრაციო ჩვენება ადგილზე ჩატარა სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. ადგილზე ვიზიტები განხორციელდა მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშთა ცენტრალური ჰოსპიტალსა და ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში. დასკვნების თაობაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ჩაუტარდა მოკლე შემაჯამებელი პრეზენტაცია და ხაზგასმით აღინიშნა, რომ უფრო დეტალური დოკუმენტი გადაეცემოდა ფაკულტეტს დასკვნის პროექტის სახით. მოხდა მაღლიერების ორმხრივად გამოხატვა, ერთმანეთისთვის გაზიარებული გამოცდილებისა და პროცესით შექმნილი სწავლისა და განვითარების შესაძლებლობისათვის.

დასკვნის პროექტი წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 2 აგვისტოს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთო ჯამში, პროგრამა მეტწილად შეესაბამება რეგულაციებს, თუმცა არის სფეროები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას და თუკი რეაგირება მოხდება პროგრამის განვითარების ამ ეტაპზე, ეს მოახდენს სამომავლოდ, კლინიკურ ფაზაში, როდესაც მოხდება მისი სრული ამოქმედება, გამოწვევების პრევენციას. ინტეგრირებული პროგრამა სათანადოდ ეფუძნება საგანმანათლებლო პედაგოგიკას, გამყარებულია კურიკულუმითა და შეფასების დიზაინით და შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და უმაღლესი განათლების სამედიცინო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან.

- **რეკომენდაციები**

1. (1.2) მთელი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესის მონიტორინგის პროცესები უნდა გახდეს უფრო მკაფიო. საუკეთესო შემთხვევაში, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შედეგად განხორციელებულ გაუმჯობესებათა მაგალითებით (მაგალითად, ინტეგრირებული სწავლა და შეფასება, PBL ტუტორის უნარები და OSCE გამოცდები).
2. (2.2) რეკომენდებულია, სიზუსტისა და თანმიმდევრულობის მიზნით, გადაიხედოს და სადაც საჭიროა შესწორდეს სილაბუსებში ასახული ინფორმაცია საათობრივი განაწილების შესახებ.
3. (2.2) რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო მოდულების (კურსების) წინაპირობები.
4. (2.3) სილაბუსებში უნდა გადაისინჯოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები: შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და უნდა შეფასდეს თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი.
5. (2.3) რეკომენდებულია წიგნები ჩანაცვლდეს ახალი გამოცემებით. იმ შემთხვევაში, თუკი ქართულენოვანი ლიტერატურა არ არის გამოცემული, საჭიროა მომზადდეს ე.წ. „ჰენდაუთები“ როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით.
6. (2.6) სტუდენტთა შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს თითოეული კურსის სწავლის შედეგებს.
7. (2.6) იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა კლინიკური უნარების განვითარების ეფექტურად შეფასება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკურ ფაზაში, სადაც ვითარდება და იხვეწება მრავალი მაღალი დონის უნარი, რეკომენდებულია რომ კიდევ უფრო მეტად განვითარდეს OSCE გამოცდები პროგრამის სხვა კურსებში.
8. (2.6) რეკომენდებულია, დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები 360-გრადუსით შეფასების მეთოდში, განისაზღვროს მისი შესატყვისობა სწავლის შედეგებთან და გადამზადდეს ყველა მონაწილე შემფასებელი.

9. (3.1) უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს საერთაშორისო კავშირები; შექმნას უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა.
10. (4.2) სპეციალურად დანიშნული პერსონალის წევრის (ების) გამოყოფა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პერსონალის გადამზადებისა და განვითარების მოცულობასა და განვითარებაზე, ასევე პერსონალის განვითარებისთვის ვადების შექმნაზე.
11. (4.2) OSCE, PBL 360 გრადუსით შეფასებებისა და სხვა მეთოდებისთვის პერსონალის სისტემური გადამზადების დანერგვა.
12. (4.3) რეკომენდებულია, OSCE საგამოცდო ცენტრის შემდგომი განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს OSCE გამოცდების გაფართოება პროგრამის ფარგლებში დამატებითი ასპექტებისთვის.
13. (5.1) უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს თავის მიდგომას თავისი შეფასების პროცესების ხარისხის უზრუნველყოფისადმი, რათა შეამციროს ცვალებადობა სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევაში. ეს განსაკუთრებით ეხება პროგრამის საბაზისო სამეცნიერო დონეზე ესეების გამოყენებას, როცა შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა ტუტორის მიერ ზომიერების გარეშე და 360 გრადუსით შეფასების მტკიცე სტანდარტიზაციის ნაკლებობით, რაც დაგეგმილია პროგრამის კლინიკური ფაზისთვის, მრავალი შემფასებლით, სხვადასხვა ადგილებითა და კლინიკური შემთხვევების სხვადასხვა სახეების გამოყენებით, რათა გამოიტანონ დასკვნები სტუდენტთა შესაძლებლობების დონის შესახებ.
14. (5.1) პროგრამის საწყის ფაზაში შეფასებების სახით ესეების გამოყენება უნდა იყოს ხარისხით უზრუნველყოფილი ზომიერი პროცესის დანერგვის ხარჯზე, როგორც ინდივიდუალურ მოდულებში, თუკი ფასდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, ასევე ყველა მოდულის მასშტაბით, თითოეულ სემესტრში.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- (1.2) გადაიხედოს და გაუმჯობესდეს 360 გრადუსით შეფასების მეთოდი კლინიკური მოდულების სწავლების პროცესის მასშტაბით, სტანდარტიზების ისეთი ხელსაწყოების გამოყენებით, როგორებიცაა მაგალითად DOPS, MinCEX.
- (2.1) სასურველია, საუნივერსიტეტო გამოცდების მეშვეობით, განისაზღვროს იმ საგნების საბაზისო ცოდნა, რომლებიც საჭიროა აბიტურიენტებისთვის (მათთვის ვინც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) მედიცინის პროგრამაზე სასწავლებლად, მაგალითად ბიოლოგიის ან ქიმიის საგნების.
- (2.3) მოძველებული წიგნების საკითხი გარდაუვალად წარმოადგენს პერიოდულ პრობლემას და იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სტუდენტებისგან მოითხოვს საბაზისო კვლევითი უნარების სწავლას (GCP NIDA სასწავლო ონლაინ პლატფორმის მეშვეობით, რომელიც ინგლისურენოვანია) და რომ მედიცინის სამყაროში არსებული ლიტერატურა უმეტესად ინგლისურენოვანია, სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ განავითარონ ინგლისური ენის ცოდნის უნარები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს წაიკითხონ ლიტერატურა ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გარდა, რამდენადაც ეს უკანასკნელნი დიდი ალბათობით, მალე მოძველდება და ნაკლებად ზუსტი იქნება სამედიცინო ცოდნისა და კლინიკური პრაქტიკის თვალსაზრისით.
- (2.4) კლინიკების მიერ სათანადო რაოდენობის პაციენტებზე წვდომის დაშვების შესაძლებლობა ყველა კლინიკური საგნის მასშტაბით შესაძლოა შეიცვალოს

ინტეგრირებული კურიკულუმის შემდგომ განვითარებასთან ერთად და სასურველია უნივერსიტეტი ყურადღებით განიხილავდეს ამ საკითხს.

- (2.6) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სასურველია განიხილოს პროგრამის საწყის ფაზაში მიღწევების შესამოწმებლად ესეების გამოყენების საკითხი და ნაცვლად ამისა, დანერგოს ონლაინ შეფასებები, მრავალარჩევითიანი SBA/EMI შეფასებების ფორმატით. ეს შესაძლებელს გახდის უფრო ზუსტად შემოწმდეს სტუდენტის ცოდნა და ცოდნის გამოყენება და გაზრდის სხვადასხვა მოდულებით მოპოვებული ცოდნის ინტეგრირებას. დამატებითი სარგებელი არის ის, რომ ქულების მინიჭების პროცესი შეიძლება გახდეს უფრო ეფექტიანი და ნაკლებ ცვალებადი, რაც საერთო ჯამში გაზრდის სტანდარტიზაციას.
- (3.1) უნივერსიტეტმა სასურველია იფიქროს იმაზე, თუ როგორ გახადოს „ჯგუფის კურატორის“ როლი უფრო მკაფიო სტუდენტებისთვის, რათა მოხდეს ასეთი როლის არსებობით განსაზღვრული სარგებლის რეალიზება.
- (4.3) არსებული ლაბორატორიების გამოსაყენებლად, სხვადასხვა პროგრამებისთვის დადგენილი უნდა იყოს გრაფიკი.
- (5.2) ურთიერთობები, რომლებიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს კოლეგებთან სხვა ქართულ სამედიცინო სკოლებში, რაც სთავაზობს რჩევებს პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში, შესაძლოა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პროგრამებზე ზოგიერთი ამ უფროსი კოლეგის „გარე გამომცდელად“ მოწვევის გზით, რაც შესაძლებელს გახდის რეგულარულ კონტროლს, გაუმჯობესების მიზნით იმ ადამიანებისგან რჩევების მიღებით, რომლებიც მსგავს კონტექსტსა და გარემოში მუშაობენ.
- (5.2) რამდენადაც უნივერსიტეტი ცდილობს საკუთარ პროგრამაზე მიიღოს ინფორმაცია და რჩევები უცხოური უნივერსიტეტებიდან, საამისოდ ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა იქნება პერსონალისა და სტუდენტთა მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების მოძიება, იმ მოლოდინით, რომ უნივერსიტეტიდან ამ პროგრამით გაგზავნილი პირები დაბრუნების შემდეგ საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ კოლეგებს.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

(4.3) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი (<https://portal.bsu.edu.ge/>) არის შესანიშნავი ხელსაწყო, რომელიც სპეციალურად შემუშავდა იმისათვის, რომ სტუდენტებისთვის უზრუნველყოს მარტივი წვდომა ყოველსადაც ინფორმაციასა და პროგრამის მასალებზე.

(5.1) უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალი (<https://portal.bsu.edu.ge/>) სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარ პროგრამაზე დატოვონ უკუკავშირი ამ საიტის მეშვეობით და ამგვარად, იგი სთავაზობს თანმიმდევრულობას მონაცემთა დამუშავებაში და ასევე იძლევა მონაცემთა ანალიზის შესახებ უკუკავშირის გაზიარების შესაძლებლობას და ამით, მონაცემთა შეგროვებისა და გაანალიზების პროცესები ხორციელდება ობიექტურად და გამჭვირვალედ.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამჟამინდელი ნაწილობრივ ინტეგრირებული კურიკულუმი შემუშავებულია ადრე არსებული აკრედიტებული კურიკულუმიდან, დისციპლინური სპეციფიკური კურსებიდან

სისტემებზე დაფუძნებული ინტეგრირებულ მეცნიერებაზე დაფუძნებული კურსებისაკენ თანდათანობითი გადასვლით. უნივერსიტეტს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე პრაქტიკულად ჰყავს სტუდენტთა 2 განსხვავებული ჯგუფი - უფროსკურსელი სტუდენტები, რომლებიც ამთავრებენ "ტრადიციულ" პროგრამას და დაწყებითი კურსების სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხნენ "ინტეგრირებულ" პროგრამაზე. გამოკითხული სტუდენტები წარმოადგენდნენ შერეულ ჯგუფებს, სწავლის ყველა წლიდან და ამიტომ ზოგიერთ უფროსკურსელ სტუდენტს არ ჰქონდა გამოცდილი ინტეგრირებული კურიკულუმის პირველი რამდენიმე წელი. მოსალოდნელი იყო, რომ საწყისი წლების სტუდენტების და ტრადიციული პროგრამის სტუდენტების კლინიკური გამოცდილება იგივე თუ არა მსგავსი იქნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ექსპერტთა ჯგუფმა ამის ტესტირება ვერ შეძლო.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მისიაა მოემსახუროს აჭარის რეგიონს, რომელიც განლაგებულია ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, და რომელიც განიცდის ადგილობრივი ექიმების ნაკლებობას კონკრეტულ სპეციალობებში. ჯანდაცვა უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი დარგია და მის მთავარ ძალისხმევას წარმოადგენს შეიტანოს წვლილი მიღწევების სახით და გაზარდოს ხარისხი რეგიონისთვის სპეციალისტი ექიმების გამოშვებითა და სამედიცინო კვლევების გაზრდით.

ადგილობრივ სამედიცინო პროგრამას უნივერსიტეტი ახორციელებს 2013 წლიდან. პროგრამა ჯერ არ განახლებულა. მიზანი იყო სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) საბაზისო სამედიცინო განათლების სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია და ისინი ადგენენ კურსდამთავრებულთა სასურველ მახასიათებლებს. ისინი შემუშავდა პროფესიის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციის საფუძველზე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. კურსდამთავრებულებმა პროფესიული საქმიანობის დაწყებამდე უნდა გაიარონ საქართველოს ეროვნული სალიცენზიო გამოცდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში: მისია, პროგრამის სწავლის შედეგები;
- ინტერვიუები უნივერსიტეტისა და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელობასთან: წვლილი საზოგადოების განვითარებაში;
- ინტერვიუები სამედიცინო ინდუსტრიის დამსაქმებლებთან: წვლილი საზოგადოების განვითარებაში, დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი;
- ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან: სწავლის შედეგები;
- ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან: სწავლის შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ემყარება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის საბაზისო სამედიცინო განათლების სტანდარტებს.

სწავლის პროცესის შედეგები მოიცავს კლინიკურ ცოდნას, უნარებსა და დასკვნის გამოტანას, ასევე ეთიკასა და პროფესიონალიზმს. შედეგები არის რეალისტური და გაზომვადი. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება პრაქტიკოსი ექიმისთვის საჭირო უნარების გამომუშავების თანამედროვე და საერთაშორისო მეთოდებს, კერძოდ პაციენტებზე ზრუნვის მაღალი სტანდარტების გამომუშავება და შენარჩუნება, ასევე ეფექტური, თვითმართვადი უწყვეტი სწავლის უნარის გამომუშავება. სწავლის შედეგების შეფასება წარმოებს რეგულარულად, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. სასწავლო პერსონალს ესმის პროგრამა, თუმცა მაინც არსებობს არსებითი პროფესიული განვითარების დამატებითი საჭიროება, რათა გამოიყენონ უფრო ახალი მეთოდები პროგრამისთვის (მაგალითად, ინტეგრირებული სწავლა და შეფასება, PBL ტუტორის უნარები და OSCE). სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები და სწავლის ხარისხზე მუდმივად ხდება მონაცემთა შეგროვება, თუმცა ყოველთვის მკაფიოდ არ ჩანს თუ როგორ ხდება ამის გამოყენება პროგრამაში ცვლილების შესატანად ან მის გასაუმჯობესებლად. შეფასების შედეგებთან დაკავშირებით სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას.

COVID-19 პანდემიამ მკაცრად შეზღუდა კლინიკურ გარემოში სწავლის შესაძლებლობა, სწავლება მეტად დამოკიდებული გახდა სიმულაციასა და 360 გრადუსით შეფასების მოდელზე, განსაკუთრებით პრაქტიკულ მოდულებში. 360 გრადუსით შეფასების მოდელი, უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია, როგორც „შეფასების ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური მეთოდი“, რომელიც „მოიცავს სტუდენტის მიერ საკუთარი თავის შეფასებას და მის შეფასებას დამკვირვებლების მიერ. ეს მეთოდი იძლევა შესაძლებლობას, შემოწმდეს როგორც სტუდენტის ცოდნა და უნარები, ასევე მისი მიდგომა პაციენტების, კოლეგებისა და გარემოს სხვა წევრთა მიმართ“. შეფასება ხდება თავად სტუდენტის მიერ, ასევე ლექტორის, პაციენტისა და კლინიკის პერსონალის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში: სწავლის შედეგები, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები;
- ინტერვიუები დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელობასთან: სწავლის შედეგები;
- ინტერვიუები სამედიცინო ინდუსტრიის დამსაქმებლებთან: სწავლის შედეგები და დასაქმებისუნარიანობა;
- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან: შეფასების მეთოდები;
- ინტერვიუები პროგრამის პერსონალთან: სწავლის შედეგები, აკადემიური პერსონალის განვითარება, შეფასება;
- ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან: სწავლის შედეგები.

რეკომენდაციები:

- მთელი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესის მონიტორინგის პროცესები უნდა გახდეს უფრო მკაფიო. საუკეთესო შემთხვევაში, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შედეგად განხორციელებულ გაუმჯობესებათა მაგალითებით (მაგალითად, ინტეგრირებული სწავლა და შეფასება, PBL ტუტორის უნარები და OSCE გამოცდები).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გადაიხედოს და გაუმჯობესდეს 360 გრადუსით შეფასების მეთოდი კლინიკური მოდულების სწავლების პროცესის მასშტაბით, სტანდარტიზების ისეთი ხელსაწყოების გამოყენებით, როგორებიცაა მაგალითად DOPS, MinCEX.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, | | | | |

| | | | | |
|---|--|--|--|--|
| სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |
|---|--|--|--|--|

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 რეზოლუციით დადგენილი წესების მიხედვით - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციების შესაბამისად. საქართველოს მოქალაქეებს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება შეუძლიათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებით; ასევე, ამ გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლება უცხო ქვეყანაში ბოლო 2 წლის განმავლობაში (ვრცელდება იგივე წესები, რაც უცხოელებზე); პირებს, რომლებმაც ისწავლეს/ამჟამად სწავლობენ და მიღებული აქვთ კრედიტები საზღვარგარეთ უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც აღიარებულია მასპინძელი ქვეყნების მიერ. გასაუბრების დროს, გამოვლინდა, რომ აბიტურიენტები (ეროვნული გამოცდის გარეშე მიღებული) მიიღებენ მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე. სასურველია, საუნივერსიტეტო გამოცდების მეშვეობით, განსაზღვროთ იმ საგნების საბაზისო ცოდნა, რომლებიც საჭიროა აბიტურიენტებისთვის (მათთვის ვინც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) მედიცინის პროგრამაზე სასწავლებლად, მაგალითად ბიოლოგიის ან ქიმიის საგნების. პროგრამის წინაპირობები და უნივერსიტეტში მიღების წესი საჯარო და ხელმისაწვდომია. პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, საუნივერსიტეტო გამოცდების მეშვეობით, განისაზღვროს იმ საგნების საბაზისო ცოდნა, რომლებიც საჭიროა აბიტურიენტებისთვის (მათთვის ვინც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) მედიცინის პროგრამაზე სასწავლებლად, მაგალითად ბიოლოგიის ან ქიმიის საგნების.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით N06-01/40 და განხილულ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე, სხდომის ოქმი №27-05/5, 27.05.2021. განხორციელდა ჩამოთვლილი აქტივობები, რათა ჩამოყალიბებულიყო საგანმანათლებლო პროგრამები:

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მოთხოვნილი მასალების ანალიზი (შრომის ბაზრის კვლევა, ბოლო 5 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, მატერიალური, ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსები, შესაბამისი მიმართულებით ჩატარებული სამეცნიერო კვლევები და სხვა).
- სამუშაო ჯგუფის, კურიკულუმის კომიტეტისა და სამუშაო გეგმის შექმნის მონიტორინგი.
- სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება (საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების განსაზღვრა, სწავლის შედეგები, სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები, სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები, მათი ოდენობა და შინაარსი, ლიტერატურის შერჩევა და სხვა).
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესის მონიტორინგი.

საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებისა და შეფასების პასუხისმგებლობა აკისრია პროგრამის ხელმძღვანელსა და მონაწილე პერსონალს. ასევე, ფაკულტეტის დეკანს, დარგობრივი განყოფილების ხელმძღვანელს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და დარგობრივი დეპარტამენტის კოორდინატორს.

პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების მე - 2 საფეხურს, საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპული კრედიტების გაანგარიშების სისტემას. პროგრამის ხანგრძლივობაა 6 წელი, მოცულობაა 360 კრედიტი და შედგება 12 სემესტრისგან. ერთი კრედიტი უდრის 25 საათს. პროგრამაში ნათქვამია: საათების საერთო რაოდენობაა 9000 საათი; აქედან 5399 საათი არის საკონტაქტო საათი, ხოლო 3601 საათი ეთმობა დამოუკიდებელ მუშაობას. უნივერსიტეტმა ეს ციფრები უნდა მოიყვანოს რეალურ მონაცემებთან შესაბამისობაში. უნივერსიტეტის მიერ, ვიზიტის დროს, დამატებით მოწოდებული დოკუმენტი, რომელიც ექსპერტებმა მოვითხოვეთ, შეიცავს განსხვავებულ მონაცემებს.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოსა და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით. პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, მოიცავს ტრანსდისციპლინურ მოდულებს, ასევე ცალკეულ სასწავლო კურსებს. პროგრამის თანახმად, მსხვილ დარგობრივ კომპეტენციებში ცოდნისა და უნარების გამომუშავება ხდება ინტერდისციპლინური მოდულის ფაზაში, რომელიც იყოფა სამ ვერტიკალურ ფაზად:

- I. კომპეტენციის ფაზა,
- II. პრეკლინიკური ფაზა,
- III. კლინიკური ფაზა.

პროგრამაში 11 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს. პროგრამის ეს კომპონენტი (მათ შორის თითოეული ინდივიდუალური კურსი: „სამედიცინო ინფორმატიკა, ბიოსტატისტიკა“, „სამეცნიერო კვლევა მედიცინაში, კვლევის დიზაინი“, „მტკიცებულებითი მედიცინა, GCP, კლინიკური კვლევები“) არის თანმიმდევრული და ლოგიკურად დალაგებული.

სტუდენტის გაცნობა კლინიკურ გარემოსთან ხდება პირველივე სემესტრიდან, „პროფესიასთან გაცნობის“ მოდულით, რაც გრძელდება მთელი კურსის განმავლობაში და კულმინაციას აღწევს მეთორმეტე სემესტრში, მთლიანად განკუთვნილია პრაქტიკისთვის (30 კრედიტი). კლინიკური უნარების კურსები განაწილებულია - კლინიკური უნარები - პირველი სამედიცინო დახმარება, საბაზისო სამედიცინო მანიპულაციები, სიმულაციური პროპედევტიკა, სიმულაციური ქირურგია, ლაბორატორიული დიაგნოსტიკა (სულ 19 კრედიტი).

სტუდენტი სხვადასხვა სემესტრში საგნებს ირჩევს შერჩევითობის პრინციპით, თავდაპირველად - კურსების სიმრავლიდან, რომლებიც ეთმობა ზოგადი, ტრანსფერული ცოდნისა და უნარების განვითარებას (ხელოვნება, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საფუძვლები და სხვა), ხოლო მაღალ კურსებზე ირჩევს არჩევითი კურსებიდან ქირურგიის სპეციალობაში, შინაგან მედიცინასა და პედიატრიაში (30 კრედიტი სულ).

მოდულების (კურსების) უმეტესობას არ აქვს წინაპირობა. მაგალითად, მოდულებს

„ზიანი“ (Damage”) და „ზოგადი ქირურგია“. რთული იქნება ზემოთხსენებული მოდულების შინაარსის გავლა უჯრედების, ორგანოებისა და სისტემების ნორმალური ანატომიური და ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ცოდნის გარეშე. რეკომენდებულია, გადახედოთ სასწავლო მოდულებისთვის წინაპირობების დაწესების საკითხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსის სილაბუსები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის 15 ივნისის N37 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესების დამტკიცების შესახებ.“
- ფაკულტეტის საბჭო, სხდომის ოქმი №27-05/5, 27.05.2021

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სიზუსტისა და თანმიმდევრულობის მიზნით, გადაიხედოს და სადაც საჭიროა შესწორდეს სილაბუსებში ასახული ინფორმაცია საათობრივი განაწილების შესახებ. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო მოდულების (კურსების) წინაპირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ქვემოთ ჩამოთვლილი კურსები შეტანილია ახალ პროგრამაში, რათა იგი შესაბამისობაში მოიყვანოს კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და მედიცინის დარგობრივ სტანდარტთან, ასევე ითვალისწინებს დარგში კვლევის კომპონენტის გარდაუვალ საჭიროებას:
- „სამედიცინო ინფორმატიკა, ბიოსტატისტიკა“, სამეცნიერო კვლევა მედიცინაში, კვლევის დიზაინი“, „მტკიცებულებითი მედიცინა, GCP, კლინიკური კვლევები“) (სულ 11).

შეფასება

ო გოხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსები შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას: კრედიტების რაოდენობასა და საათობრივ განაწილებას სტუდენტის დატვირთვის მიხედვით, კურსის ფორმატს, დაშვების წინაპირობებს, კურსის მიზანს, სწავლის შედეგებს (LO), შინაარსს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს და ლიტერატურას. სილაბუსებში ნახსენები თემები ასახავს პროგრამის შინაარსს და შესაბამისია სწავლის შედეგებთან. თითოეული სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და კვალიფიკაციის შესაბამისი დონის აღმწერს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და დარგობრივი ნიშნულების მიხედვით.

საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ლოგიკურია. ის ითვალისწინებს კურსების თავისებურებებს, მაგრამ ზოგიერთ სილაბუსში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები განსხვავებულად არის განაწილებული და შეიცავს ტექნიკურ უზუსტობებს („გადაუდებელი დახმარება ბავშვებისთვის“). მაგალითად, სილაბუსში „ტრავმატოლოგია“ საგამოცდო საათები გამოითვლება როგორც დამოუკიდებელი საათი, მაგრამ სხვა სილაბუსებში საბოლოო გამოცდა გამოითვლება, როგორც საკონტაქტო საათი. იმავე სილაბუსში მითითებულია, რომ დასკვნითი გამოცდა გრძელდება 2 საათის განმავლობაში, ხოლო სხვაგან - 4 საათის განმავლობაში. ზოგიერთ სილაბუსში ის შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ გამოცდები განიხილება საკონტაქტო საათებად და სილაბუსებში არსებობს ტექნიკური შეცდომები. გაურკვეველობა ასევე გამოიწვია იმ კვირების რაოდენობამ, რომლებზეც კურსის შინაარსი იყო გაწერილი. მაგალითად, კურსის თემები „ოფთალმოლოგია და ოტორინოლარინგოლოგია“ განკუთვნილია 20 კვირის განმავლობაში სწავლებისთვის, ხოლო, დებულების

შესაბამისად, სემესტრი მოიცავს 15 კვირას.

სილაბუსების მიმოხილვამ აჩვენა, რომ თითოეული კურსის სწავლის შედეგი არ არის შეფასებული ადეკვატურად, განსაკუთრებით ეს ეხება პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. მაგალითად, „ოფთალმოლოგიისა და ოტორინოლარინგოლოგიის“ სილაბუსში აღნიშნულია, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს „თვალის გარე შემოწმებას; თვალის შუაში მდებარე შავი ხვრელის რეფლექსის შემოწმებას; თვალის გუგის მოძრაობის შეფასებას; თვალის გუგის მანიპულაციებს“, მაგრამ არ არსებობს რაიმე პრაქტიკული შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, მოდულს „ალერგოლოგია, დერმატოლოგია“, „გადაუდებელი და კრიტიკული სიტუაციები“, „ონკოლოგია და პალიატიური მოვლა“ პრაქტიკულად არ გააჩნია არანაირი კრიტერიუმი პრაქტიკული უნარების შესაფასებლად.

სილაბუსებში უნდა გადაისინჯოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები: შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, თითოეული კურსის სწავლის შედეგი უნდა შეფასდეს სათანადოდ.

სავალდებულო სახელმძღვანელოები და სილაბუსში ჩამოთვლილი სხვა საკითხავი მასალა მოძველებულია. მაგალითად:

- „პედიატრია“ ი. კვაჭაძე. მ. გელოვანი - „ბავშვთა დაავადებები“ 1995; ი. კვაჭაძე. მ. გელოვანი - „ბავშვთა დაავადებები“ 1995;
- „რადიოლოგია“ ი. ავაზაშვილი 2000 წ.
- „ალერგოლოგია, დერმატოლოგია“ დ. საყვარელიძე 1994 წ.

ეს წიგნები არ მოიცავს ამ სფეროში არსებულ უახლეს ინფორმაციასა და კვლევებს და ვერ უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან. ეს წიგნები უნდა განახლდეს და შეიცვალოს ახალი გამოცემებით. იმ შემთხვევაში, თუკი ქართულენოვანი ლიტერატურა არ არის გამოცემული, საჭიროა მომზადდეს „ჰენდაუთები“ როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით.

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;

რეკომენდაციები:

- სილაბუსებში უნდა გადაისინჯოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები: შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და უნდა შეფასდეს თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი.
- რეკომენდებულია მოძველებული წიგნები ჩანაცვლდეს ახალი გამოცემებით. იმ შემთხვევაში, თუკი ქართულენოვანი ლიტერატურა არ არის გამოცემული, საჭიროა

მომზადდეს ე.წ. „ჰენდაუტები“ როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოძველებული წიგნების საკითხი გარდაუვალად წარმოადგენს პერიოდულ პრობლემას და იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სტუდენტებისგან მოითხოვს საბაზისო კვლევითი უნარების სწავლას (GCP NIDA სასწავლო ონლაინ პლატფორმის მეშვეობით, რომელიც ინგლისურენოვანია) და რომ მედიცინის სამყაროში არსებული ლიტერატურა უმეტესად ინგლისურენოვანია, სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ განვიითარონ ინგლისური ენის ცოდნის უნარები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს წაიკითხონ ლიტერატურა ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გარდა, რამდენადაც ეს უკანასკნელი დიდი ალბათობით, მალე მოძველდება და ნაკლებად ზუსტი იქნება სამედიცინო ცოდნისა და კლინიკური პრაქტიკის თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო პროგრამაში კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ხორციელდება სავალდებულო კურსების საშუალებით. ეს ციკლი შემუშავდა ერთიან საფუძველზე და განვითარდა ეტაპების პრინციპით - მარტივიდან რთულისკენ, სასწავლო პროგრამის სხვადასხვა საფეხურზე. კვლევითი სასწავლო კურსების მსვლელობისას სტუდენტი ითვისებს კვლევის ჩასატარებლად საჭირო კრიტერიუმებს, კვლევის დიზაინის საკითხისა და პრობლემის სწორად დასმის უნარს. ინტერვიუებისა და დაწესებულებაში ვიზიტების დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შენიშნეს, რომ სტუდენტებს აქვთ სხვადასხვა კვლევით პროექტში ჩართვის შესაძლებლობა. უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგად აღჭურვილი სამეცნიერო კვლევითი ცენტრები (დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრი, ქიმიის, იმუნოგენეტიკის, უჯრედული ბიოლოგიის, ფარმაკოგნოზის ლაბორატორიები). უნივერსიტეტმა დანერგა ინოვაცია სამედიცინო პროგრამის კვლევის შედეგის უზრუნველსაყოფად: მეცნიერულ კვლევა შეთავაზებულია აკადემიური პერსონალის მიერ და სტუდენტს შეუძლია გააკეთოს არჩევანი თავისი ინტერესის სფეროს მიხედვით. 3 სემესტრი ეძღვნება კვლევითი ნაშრომის მომზადებას. ამ პერიოდის განმავლობაში, თემის ავტორი, პროფესორის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ, ასრულებს თავის დისერტაციას (კვლევისათვის საჭირო ყველა ნორმის დაცვით). უკვე მე-6 წელს, როდესაც გაივლის ციკლს „მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინა, GCP, კლინიკური ცდები“, დანიშნულ დღეს სტუდენტი დაიცავს თავის ნაშრომს, რომლის შეფასება აისახება საბოლოო გამოცდის შეფასებაში.

კვლევის ციკლის დასკვნით ნაწილში, სტუდენტის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია ელექტრონული მოდულის ათვისება და შესაბამისი სერტიფიკატის მოპოვება (<https://gcp.nidatraining.org/>).

აუცილებელი კლინიკური უნარების განვითარების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს კურსებს, რომლებიც ტარდება სიმულაციურ ცენტრში და ასევე კლინიკებში (პაციენტის საწოლთან სწავლება). პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით და სტუდენტებს საშუალება ექნებათ განავითარონ კლინიკური უნარ-ჩვევები გამოცდილი ექიმების მეთვალყურეობით უნივერსიტეტის აფილირებულ კლინიკებში. თუმცა, ინტეგრირებული სასწავლო გეგმით, სტუდენტებს ხშირად სურთ ნახონ სხვადასხვა დაავადების მქონე პაციენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რათა გაამყარონ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება საკუთარი პრაქტიკული კლინიკური გამოცდილებით. ამრიგად, შეიძლება საჭირო გახდეს კლინიკური სწავლების შესაძლებლობების გაზრდა, რათა მოხდეს კლინიკური სწავლებისადმი ინტეგრირებული მიდგომიდან სარგებელის მიღება. კლაიპედას უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ სტაჟირება გაიარონ საზღვარგარეთ სამედიცინო სფეროს სხვადასხვა მიმართულებით.

პროგრამაში შემოთავაზებულია სხვადასხვა არჩევითი კურსი ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით.

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით

პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კლინიკების მიერ სათანადო რაოდენობის პაციენტებზე წვდომის დაშვების შესაძლებლობა ყველა კლინიკური საგნის მასშტაბით შესაძლოა შეიცვალოს ინტეგრირებული კურსულუმის შემდგომ განვითარებასთან ერთად და სასურველია უნივერსიტეტი ყურადღებით განიხილავდეს ამ საკითხს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|--|
| |
|--|

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა დეტალურად აღწერს სწავლების მეთოდებს, ასევე მათ აღწერით ნაწილს. პროგრამაში ჩამოთვლილი სწავლების/სწავლის მეთოდები მოიცავს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევაზე დაფუძნებულ კლინიკურ მსჯელობას (CBCR), განმარტებით მეთოდს, მოქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, კომპეტენციაზე დაფუძნებულ სწავლებას, ევრისტიკულ მეთოდს, გონებრივ იერიშს, პორტფოლიოზე დაფუძნებულ სწავლებას, ელექტრონულ სწავლებას, პაციენტზე ორიენტირებულ სწავლებას, ლექციებს, თანამშრომლობით მუშაობას, კლინიკურ პრაქტიკას/პაციენტის საწოლთან სწავლას, ჯგუფურ სწავლებას, როლურ და სიტუაციურ თამაშებს, პრეზენტაციებს, ლაბორატორიულ მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და კლინიკური უნარების სწავლებას. პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. კლინიკური უნარების როტაციის დროს სამედიცინო სიმულაციები გამოიყენება სტუდენტების კლინიკური უნარების განვითარების მიზნით: სტუდენტები მუშაობენ მანეკენებთან უსაფრთხო გარემოში, ისინი მუშაობენ ჯგუფებად და იძენენ გუნდური მუშაობის გამოცდილებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი შემდგომი პრაქტიკისთვის, ისინი იძენენ CPR, BLS, ACLS, ტრავმების მართვისა და სხვა მანიპულაციების უნარებს.

სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, მოსალოდნელ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N37 დადგენილებით „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა უწყვეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში, მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;

| |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N37 დადგენილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესების დამტკიცების შესახებ“. |
| <p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○ |
| <p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|--|
| <p>2.6. სტუდენტების შეფასება</p> |
| <p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება დაფუძნებულია 100-ქულიან სისტემაზე, საიდანაც 40 ქულა გამოყოფილია დასკვნითი გამოცდებისთვის, ხოლო 60 - შუალედური შეფასებებისთვის. ის შეესაბამება „კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას“ (ECTS). ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ ზოგიერთი აკადემიური პერსონალი მომზადებული იყო OSCE-ს გამოცდების ჩასატარებლად. ამჟამად, 6 წლის განმავლობაში არის 10 კურსი, რომლებშიც ეს მეთოდი გამოიყენება როგორც საბოლოო გამოცდის შეფასების ნაწილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეფასების ეს მეთოდი ახლად დანერგილია პროგრამაში და, ექსპერტის აზრით, მიმდინარე მატერიალური რესურსები, OSCE-ს სადგურების რაოდენობა (ამჟამად 8 სადგური) და ამ მიზნით გამოყოფილი ტერიტორია არ იქნება საკმარისი OSCE-ს სხვა კურსებზე ჩასატარებლად. ასევე საეჭვოა, რამდენად ეყოფა სადგურების შესაძლებლობები სტუდენტების გაზრდილ კონტიგენტს.

360° შეფასების მეთოდი (რომელიც მოიცავს მასწავლებელს, პაციენტს, მედდას, კურსის კოორდინატორსა და თავად სტუდენტებს) ახლად დანერგილია რამდენიმე კურსში. თუმცა, ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები თითოეული შემფასებლის კომპეტენციის, შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებისა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის შესახებ, მაგრამ მკაფიო პასუხები ვერ მიიღო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა და სურვილი გააუმჯობესონ და დახვეწონ შეფასების მეთოდები.

გარდა ამისა, ყველა შესაბამისი პროგრამის დეტალური განხილვის საფუძველზე, ზოგიერთ სილაბუსში („ალერგოლოგია, დერმატოლოგია“, „გადაუდებელი და კრიტიკული სიტუაციები“, „ონკოლოგია და პალიატიური მოვლა“) არ იყო აღწერილობა პრაქტიკული უნარების შეფასების მეთოდების ტიპისა და კრიტერიუმების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს ლექტორს იმის უზრუნველყოფაში, რომ სწავლის შედეგები მიღწეული იქნეს სტუდენტის შეფასებით.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ თითოეულ სტუდენტს აქვს უნარი გასაჩივროს ქულა ან მოითხოვოს ინფორმაცია ნებისმიერი შეფასების შესახებ უნივერსიტეტის პორტალის საშუალებით. ეს სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ პირდაპირი უკუკავშირი ლექტორებისგან. ასევე, ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შეუძლია ადვილად გაანალიზოს მონაცემები პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- სტუდენტთა შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს თითოეული კურსის სწავლის

შედეგებს.

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა კლინიკური უნარების განვითარების ეფექტურად შეფასება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკურ ფაზაში, სადაც ვითარდება და იხვეწება მრავალი მაღალი დონის უნარი, რეკომენდებულია რომ კიდევ უფრო მეტად განვითარდეს OSCE გამოცდები პროგრამის სხვა კურსებში. რეკომენდირებულია, დაიხვეწოს შეფასების კრიტერიუმები 360-გრადუსით შეფასების მეთოდში, განისაზღვროს მისი შესატყვისობა სწავლის შედეგებთან და გადამზადდეს ყველა მონაწილე შემფასებელი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სასურველია განიხილოს პროგრამის საწყის ფაზაში მიღწევების შესამოწმებლად ესეების გამოყენების საკითხი და ნაცვლად ამისა, დანერგოს ონლაინ შეფასებები, მრავალარჩევითიანი SBA/EMI შეფასებების ფორმატით. ეს შესაძლებელს გახდის უფრო ზუსტად შემოწმდეს სტუდენტის ცოდნა და ცოდნის გამოყენება და გაზრდის სხვადასხვა მოდულებით მოპოვებული ცოდნის ინტეგრირებას. დამატებითი სარგებელი არის ის, რომ ქულების მინიჭების პროცესი შეიძლება გახდეს უფრო ეფექტიანი და ნაკლებ ცვალებადი, რაც საერთო ჯამში გაზრდის სტანდარტიზაციას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოკუმენტაციის, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების თანახმად, ნათელია, რომ დაწესებულება ადეკვატურ დახმარებას უწევს სტუდენტებს მედიცინის პროგრამაში. სტუდენტს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად ფაკულტეტის ადმინისტრაციის ან კონკრეტული დეპარტამენტებისა და თვითონ პროფესორებისგან. აკადემიურ პერსონალს აქვს ყოველკვირეული საათები სტუდენტთა მხარდაჭერისთვის და ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ყველა ორგანო ფლობს ამ ინფორმაციას. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები დარეგისტრირებულნი არიან უნივერსიტეტის პორტალზე (<https://portal.bsu.ge>), რომელშიც ჩართულია პირდაპირი კომუნიკაციისა და უკუკავშირის მექანიზმების ფუნქციები. სტუდენტებს საშუალება აქვთ მიმართონ კურსის კოორდინატორებს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას ნებისმიერი საკითხის ან ამ გზით დახმარების საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეუძლიათ პირისპირ კონტაქტი ჰქონდეთ უნივერსიტეტის კამპუსში. სტუდენტებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულება ადეკვატურად პასუხობს მათ საჭიროებებს და მათ აქვთ დამხმარე სამსახურებთან ურთიერთობის უდიდესი დადებითი გამოცდილება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა თვითშეფასების ანგარიშში მოხსენიებული „ჯგუფის კურატორის“ როლი, რადგანაც სტუდენტებს არ ახსოვდათ პროცესში ასეთი პოზიციის ჩართულობა.

უნივერსიტეტმა გამოყო თანხები სტუდენტური ინიციატივების, გაცვლითი პროგრამებისა და კონფერენციების დასაფინანსებლად. ამჟამად ხორციელდება რამდენიმე გრანტი სტუდენტური პროექტებისთვის, მაგალითად 6 სტუდენტი ჩართულია ქირურგიის სახელმძღვანელოს ქართულად თარგმნაში შესაბამისი პროფესორის ხელმძღვანელობით. ეს პროექტი დაფინანსებულია 2 წლის ვადით და სტუდენტები ასევე იღებენ ფინანსურ სარგებელს. უსდ იძლევა საერთაშორისო გაცვლის შესაძლებლობას ლიტვაში, კლაიპედას საუნივერსიტეტო საავადმყოფოსთან, სადაც შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გადიან პრაქტიკულ სწავლებას 1 თვის განმავლობაში, რასაც უნივერსიტეტი აფინანსებს 1000 ლარით. გარდა ამისა, მედიცინის პროგრამის მხოლოდ ერთმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ERASMUS-ის გაცვლით პროგრამაში ბოლო 4 წლის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს: მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები სტუდენტებისთვის, რომელთაც სურთ მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება, მან უნდა უზრუნველყოს მობილობის მეტი შესაძლებლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, უნივერსიტეტებთან და საავადმყოფოებთან თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის არსებობს დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობა, ადგილობრივად და ქვეყნის მასშტაბით. დამსაქმებლებს აქვთ სპეციალური წვდომა უნივერსიტეტის პორტალზე, სადაც მათ შეუძლიათ განათავსონ ვაკანსიები და უშუალოდ დაუკავშირდნენ სტუდენტებს. სტუდენტები, თავის მხრივ, იღებენ ინფორმაციას, როდესაც არის დასაქმების შესაძლებლობები მათი წინასწარ განსაზღვრული პრეფერენციებისა და სწავლის სფეროს მიხედვით.

უნივერსიტეტი სტუდენტებს ასევე აძლევს ბევრ შესაძლებლობას, რომ მონაწილეობა მიიღონ კვლევით საქმიანობაში. არსებობს სტუდენტური სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს წელიწადში რამდენჯერმე. უნივერსიტეტი საუკეთესო მონაწილეებს აჯილდოვებს ფინანსურად. სტუდენტები ასევე ჩართულნი არიან სხვადასხვა განყოფილების სამეცნიერო პერსონალის კვლევაში და მათი წვლილი აშკარაა კვლევით ლაბორატორიებში ვიზიტისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- გასაუბრებები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტისთვის ერთჯერადი წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის N05 გადაწყვეტილებაში მონაწილეობისათვის. იხილეთ ბმული - https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9640_1.pdf
- კონსულტაციების განრიგი;
- პრიზიორი სტუდენტები;
- გაცვლითი პროგრამებში ჩართული სტუდენტების სია.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა განამტკიცოს საერთაშორისო კავშირები; შექმნას უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისა და პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტმა სასურველია იფიქროს იმაზე, თუ როგორ გახადოს „ჯგუფის კურატორის“ როლი უფრო მკაფიო სტუდენტებისთვის, რათა მოხდეს ასეთი როლის არსებობით განსაზღვრული სარგებლის რეალიზება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პერსონალის კვალიფიკაცია პროგრამის შესაბამისია. მუდმივი კონტრაქტის მქონე პერსონალი შერჩეულია მათი გამოცდილების მიხედვით სწავლასა და სწავლებაში. პროცედურა კარგად არის განსაზღვრული და შეესაბამება როგორც უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობას.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის საჭიროებებით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის მთლიანი ბიუჯეტის, აკადემიური პერსონალის ხელფასისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი მთლიანი აკადემიური საათების რაოდენობის მიხედვით (არაუმეტეს 60%) და/ან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის</p> |

მაქსიმალური საერთო რაოდენობის ფარგლებში.

მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობაა 72 (12 პროფესორი შესაბამისი ცოდნით, უნარებით, ღირებულებებით, კვალიფიკაციითა და გამოცდილებით, 17 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ-პროფესორი და 36 მოწვეული თანამშრომელი).

ტრადიციულიდან ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე გადასვლას მნიშვნელოვანი ცვლილებები სჭირდებოდა და როგორც ჩანს, ზოგიერთ სფეროში პროგრამის ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ ყველა ცვლილების დეტალები, განსაკუთრებით 360 გრადუსიანი შეფასების პროცესის სტანდარტიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით. თუმცა, ცხადი იყო, რომ ისინი ძალიან უჭერდნენ მხარს პროცესს, გამოყვეს ცვლილებებისთვის საჭირო რესურსები და მზად იყვნენ განეხორციელებინათ ნებისმიერი მოდიფიკაცია, რომელიც სარგებელს მოუტანდა არა მხოლოდ პროგრამას, არამედ გაამყარებდა აკრედიტაციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას. ეს მოიცავდა შეფასების ახალი მეთოდოლოგიის ყველა ასპექტის ტრენინგში ჩართულობას, როგორც ლიდერის, ასევე მონაწილის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები;
- ინტერვიუები და ინტერესებულ პირებთან;
- აფილირებილი, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება ტარდება რეგულარულად წინასწარ განსაზღვრული და კარგად გაწერილი პროცედურებით. ბსუ-ს შემუშავებული აქვს და მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს და ასახავს კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მიმართულებებს, სწავლებას და აკადემიურ ჩართულობას.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად აქვეყნებს ნაშრომებს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, ტრენინგებსა და პროექტებში.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგები და ვორქშოპები ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მიერ უნივერსიტეტში ტარდება საკმაოდ ხშირად, უნივერსიტეტს არ გააჩნია სპეციალური სამსახური, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა პერსონალის ტრენინგისა და განვითარების საერთო პროცესს. ასეთი სამსახურის არსებობა, ისევე როგორც პერსონალისათვის ტრენინგის ვადების დადგენა გადამწყვეტია პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, განსაკუთრებით სასწავლო პროცესში თანამედროვე შეფასების ისეთი კომპონენტების დანერგვის გათვალისწინებით, როგორცაა OSCE, PBL, 360 გრადუსიანი შეფასებები და

სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები;
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან.

რეკომენდაციები:

- პერსონალის სპეციალური წევრის (ების) გამოყოფა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პერსონალის ტრენინგის სფეროების მონახაზის შემუშავებასა და განვითარების დაგეგმვაზე, ისევე როგორც პერსონალის განვითარების ვადების დადგენაზე.
- OSCE, PBL, 360 გრადუსით შეფასებებისა და სხვა მეთოდებისთვის პერსონალის სისტემური გადამზადების დანერგვა და მონიტორინგი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტის მსვლელობაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ჯგუფს ჩაუტარდა ტური ბსუ-ში და მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კლინიკური უნარების ობიექტებმა და საცდელი OSCE-ს ფართოდ დანერგვის გეგმებმა. კლინიკური უნარების ლაბორატორები სათანადოდაა აღჭურვილი, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობა შეიძინონ უნარ-ჩვევები კლინიკურ გარემოში მოხვედრამდე და პაციენტებთან კონტაქტის დამყარებამდე. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისათვის კლინიკური უნარების ცენტრებს გააჩნიათ სათანადო რაოდენობით სიმულატორები და მულაჟები ამ ტექნიკის დასამუშავებლად.

კონტრაქტის საფუძველზე [4] კლინიკური ნაწილის განხორციელებას უზრუნველყოფს შემდეგი კლინიკური ბაზები:

1. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი;
2. ირის ბორჩაშვილის ჯანმრთელობის ცენტრი (მედინა);
3. მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი;
4. რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო;
5. საზღვაო ჰოსპიტალი;
6. სანიტასი;
7. უნიმედი აჭარა, ბათუმის რეფერალური საავადმყოფო (სავადმყოფოების ქსელი ევექსი);
8. უნიმედი კახეთი (მ. იაშვილის ბათუმის პედიატრიული რეგიონული რეფერალური საავადმყოფო, საავადმყოფოების ქსელი ევექსი);
9. ენმედიცი;
10. მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტლების სამედიცინო ცენტრი;
11. ბათუმის სამედიცინო ცენტრი.

ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო ლაბორატორიები და პრაქტიკული ლაბორატორიები სესიებისათვის ბიომეცნიერებებში. გაუგებარია, თუ რა პროპორციით იქნება გამოყენებული არსებული ლაბორატორიები დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისათვის.

ბსუ-ს გააჩნია საკმარისი საბიბლიოთეკო რესურსები, როგორც სამკითხველო დარბაზების, ისე სათანადო პროგრამებით უზრუნველყოფილი კომპიუტერული საკლასო ოთახების

კუთხით. რაც შეეხება ბიბლიოთეკასა და სასწავლო რესურსებს, მთელი საჭირო მასალა წარმოდგენილია ონლაინ ფორმატში უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მეშვეობით და ხელმისაწვდომია დისტანციურად სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ბიბლიოთეკის მენეჯმენტი კავშირშია აკადემიურ პერსონალთან ბიბლიოთეკის მარაგების და მონაცემთა ბაზების მიმოხილვის კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;
- სასწავლო აუდიტორიები;
- კლინიკური უნარების ცენტრი;
- სასწავლო ლაბორატორიები;
- კლინიკებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ბიბლიოთეკაში ვიზიტი, ფიზიკური და ტექნიკური რესურსები;
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, OSCE საგამოცდო ცენტრის შემდგომი განვითარება, რათა შესაძლებელი იყოს OSCE გამოცდების გაფართოება პროგრამის ფარგლებში დამატებითი ასპექტებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არსებული ლაბორატორიების გამოსაყენებლად სხვადასხვა პროგრამებისთვის დადგენილი უნდა იყოს გრაფიკი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ბსუ-ს სტუდენტური ელექტრონულიპორტალი (<https://portal.bsu.edu.ge/>) წარმოადგენს შესანიშნავ ინსტრუმენტს, რომელიც სპეციალურად შემუშავდა იმისათვის, რომ სტუდენტებისთვის უზრუნველყოს მარტივი წვდომა ყოვლისმომცველ ინფორმაციასა და პროგრამის მასალებზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიებით. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას, კვლევითი პროექტების დაფინანსებას, რეაგენტების, ლიტერატურის, კომპიუტერული აღჭურვილობის, ლაბორატორიული აღჭურვილობის და სხვა ინვენტარის შეძენას, სახელმძღვანელოების ბეჭდვის, სტიპენდიებისა და სწავლის საფასურის თანადაფინანსებას. გარდა ამისა, არსებობს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსება, სტუდენტთა ერთჯერადი ფულადი სტიმულირება სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისათვის, დაფინანსება არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და კომუნალური ხარჯების დასაფარად.

ბიოსამედიცინო მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტით 2021 წელს შემოსავალი შეფასებულია 540000 ლარით, საიდანაც 280229 ლარი წარმოადგენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასებზე დანახარჯებს, ხოლო კიდევ 216000 ლარი - დამატებით ხარჯებს ფაკულტეტის განვითარებისათვის. ბიუჯეტის დოკუმენტიდან გამომდინარე ფაკულტეტის სავარაუდო შემოსავალი იქნება 43771 ლარი.

საერთო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფაკულტეტს აქვს დაბალანსებული ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის უწყვეტ განვითარებას და მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები და ინტერესებულ მხარეებთან;
- სამედიცინო პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

| |
|---|
| დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება |
| <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | | | |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| |
|---|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, |

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულირდება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს და აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის გადაწყვეტილებებით. დოკუმენტაცია არის დეტალურად და კარგად ჩამოყალიბებული. მარეგულირებელი "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტაცია გამიზნულია როგორც სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტისათვის, ხოლო პოლიტიკა ეფუძნება უწყვეტობის, გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს; ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტ შეფასებას და განვითარებას, მდგრადობას და შიდა ხარისხის კულტურის გაღრმავებას და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი, დამსაქმებლები და ა.შ.) მონაწილეობას. დოკუმენტაციაში ეს ასახულია 9 ცალკეული მუხლის სახით, რომლებიც მოიცავს პოლიტიკას, პრინციპებს, მიწოდებისა და მიღწევის მექანიზმებს, სასწავლო პროცესების მონიტორინგსა და შეფასებას, პროგრამების შეფასებასა და შემუშავებას, პერსონალის შეფასებასა და პროფესიულ განვითარებას, ობიექტების შეფასებასა და გაუმჯობესებას, განათლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციას, პერიოდული გამოკითხვების ხასიათსა და გავრცელებასა, რასაც შემდგომ მივყავართ რეკომენდაციებამდე.

ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება შეფასებების სპექტრი და შეფასების შერჩევა დამოკიდებულია საგნის სპეციფიკაზე, კურსის ხელმძღვანელების პირად გადაწყვეტილებაზე, შემფასებელთა კომპეტენციაზე, პროგრამის შემუშავებისა და მოდიფიკაციის დროს მიღებულ სხვა მონაცემებსა და შესაბამის სილაბუსებზე. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ამ პროცესში გამოყენებული მონაცემები მოიცავდა სტუდენტების კმაყოფილების კვლევებს, არსებული ტექნიკური და მატერიალური რესურსების შეფასებას და სწავლებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კომპეტენციებს.

თვითშეფასების ანგარიშში გაცხადებულია, რომ ყველა შეფასების პროცესები ატვირთულია ბსუ-ს ელექტრონულ პლატფორმაზე (www.apa.bsu.edu.ge) და ეს ხელს უწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ პროცესები და შემდგომი მონაცემები ობიექტურად და გამჭვირვალედ ხორციელდებოდეს. გარდა ამისა, ბსუ-ს გააჩნია სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ელექტრონული სისტემა. სტუდენტთა გამოკითხვა ტარდება სტუდენტური პორტალის (<https://portal.bsu.edu.ge/>) საშუალებით, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხარისხის (სწავლება და შეფასება) შესანარჩუნებლად ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც გაწვრთნილია როგორც სწავლებისა და შეფასების მიწოდების მეთოდში, ისე შეფასების სტანდარტიზაციაში ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. პერსონალის ტრენინგის უპირატესობა იკვეთება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუშავდება და შემოდის ახალი პროგრამები და პროგრამის განვითარებასთან ერთად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შეფასების გადაწყვეტილებების მუდმივი სტანდარტიზაცია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზისო მეცნიერების ფაზაში ესეების შეფასებისა და პროგრამის კლინიკური ფაზისათვის დაგეგმილი 360 გრადუსიანი შეფასებისათვის.

პროგრამის ადრეულ წლებში (1,2,3 და 4 სემესტრები), ცოდნის შეფასების ყველაზე გავრცელებული მეთოდია „ესეები/კლინიკური შემთხვევები“ და ეს აღნიშნულია მოდულის წამყვანი ტუტორების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შეფასების რუბრიკები შეფასების სახელმძღვანელოდ, ამჟამად არ არსებობს ზომიერების მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფდა მიღებული გადაწყვეტილებების ადეკვატურ სტანდარტიზაციას. ვერც პროგრამის ხელმძღვანელმა და ვერც ხარისხის უზრუნველყოფის გუნდის ინერვიუირებულმა წევრებმა ვერ აღწერეს სხვა რომელი პროცესები გამოიყენებოდა ამ შეფასებების სტანდარტიზაციის მისაღწევად. გარდა ამისა, კლინიკურ ფაზაში გამიზნულია სტუდენტების 360 გრადუსიანი პროცესით შეფასება, მაშინ როდესაც ისინი განაწილებულნი არიან სხვადასხვა კლინიკაში. შეფასებას განახორციელებს 4 ადამიანი, რომლებიც შეირჩევიან ისეთი პირებისაგან, როგორებიცაა: პროგრამის კურატორი, მედლების პერსონალის წევრი, მენეჯმენტის პერსონალის წევრი, კლინიკის ხელმძღვანელი და კოლეგა. 360 გრადუსიანი პროცესის ტრენინგი ჩაუტარდება პერსონალს კლინიკებში, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი აპირებს მონიტორინგი გაუწიოს ამ შეფასებას დაკვირვებით, თუმცა არ ყოფილა განმარტება, თუ რა ელემენტებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება სადამკვირვებლო პროცესში და როგორ იქნება ეს სტანდარტიზებული. ვინაიდან შეფასების მონაცემები წარმოადგენს პროგრამის მონიტორინგისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, აუცილებელია შეფასების პროცესმა უზრუნველყოს სტუდენტთა მიღწევების ჭეშმარიტი და სარწმუნო ასახვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან;
- ბსუ-ს ვებ-საიტი;
- №10 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ";

- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს რეზოლუცია №06-01 / 91 14, 2019 №06-01 / 91);
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის დადგენილება N46);
- უმაღლესი აკადემიური განათლების II დონე აკადემიური პროგრამა: სამედიცინო დოკუმენტი;
- კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული მედიკოსი;
- კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - დიპლომირებული მედიკოსი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ინსტრუქციები გამოცდების ჩასატარებლად;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- ბსუ-მ უნდა გადახედოს თავის მიდგომას შეფასების პროცესების ხარისხის უზრუნველყოფისადმი, რათა შეამციროს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევაში ცვალებადობა. ეს განსაკუთრებით ეხება პროგრამის საბაზისო სამეცნიერო დონეზე ესეების გამოყენებას, როცა შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა ტუტორის მიერ ზომიერების გარეშე და 360 გრადუსით შეფასების მტკიცე სტანდარტიზაციის ნაკლებობით, რაც დაგეგმილია პროგრამის კლინიკური ფაზისთვის, მრავალი შემფასებლით, სხვადასხვა ადგილებითა და კლინიკური შემთხვევების სხვადასხვა სახეების გამოყენებით, რათა გამოიტანონ დასკვნები სტუდენტთა შესაძლებლობების დონის შესახებ.
- პროგრამის საწყის ფაზაში შეფასებების სახით ესეების გამოყენება უნდა იყოს ხარისხით უზრუნველყოფილი ზომიერების პროცესის დანერგვის ხარჯზე, როგორც ინდივიდუალურ მოდულებში, თუკი ფასდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ და ასევე ყველა მოდულის მასშტაბით, თითოეულ სემესტრში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ბსუ-ს სტუდენტური ელექტრონული პორტალი (<https://portal.bsu.edu.ge/>) სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარ პროგრამაზე დატოვონ უკუკავშირი ამ საიტის მეშვეობით და ამგვარად, იგი სთავაზობს თანმიმდევრულობას მონაცემთა დამუშავებაში და ასევე იძლევა მონაცემთა ანალიზის შესახებ უკუკავშირის გაზიარების შესაძლებლობას და ამით, მონაცემთა შეგროვებისა და გაანალიზების პროცესები ხორციელდება ობიექტურად და გამჭვირვალედ.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- წინა, 2011 წლის აკრედიტაციის შემდეგ, ბსუ-მ შეიმუშავა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა, რომელიც ნაწილობრივ ინტეგრირებულია. ეს არის თანდათანობითი პროცესი, რომელიც ჯერ არ შემუშავებულა და არ იქნა განხორციელებული სტუდენტის მიღების მომენტიდან სტუდენტის მიერ სწავლის დამთავრებამდე. დღეისათვის მიღწეულია კარგი პროგრესი. თუმცა, უფრო მეტია გასაკეთებელი პროგრამის პრე-კლინიკური და კლინიკური ფაზების ინტეგრირებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები უნდა ამახვილებდნენ ყურადღებას გამოწვევებზე, რომლებსაც ხვდებიან სტუდენტები ბევრ სხვადასხვა კლინიკური სწავლების ადგილებში.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში აღწერს პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის გარე მიმოხილვის განხორციელებას. ეს მოიცავს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას (რომელთაგან ბევრი ასევე უზრუნველყოფს ბსუ-ს სტუდენტების კლინიკურ განთავსებას მათ კლინიკებში). კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა დადებითად ისაუბრეს ბსუ-ს მზადყოფნაზე მოესმინათ და შეესრულებინათ მათი წინადადებები. წარსულში ეს იყო დაკავშირებული სასწავლო გეგმის პროგრამაზე სწავლის დაწყების წლებში კლინიკური უნარების ტრენინგის გაძლიერებასთან, იმ პაციენტებთან დაკავშირებული ახალი საგნების დამატებასთან, რომლებიც მათ ხვდებოდათ კლინიკებში (მაგ., ღვიძლის გადანერგვა) და დამატებით ტრენინგის შემოღებასთან კვლევის მეთოდოლოგიაში როგორც სტუდენტების, ისე პედაგოგიური პერსონალისათვის. თუმცა, შეკითხვაზე თუ რამდენად იყვნენ ჩართულნი "სტაჟირების" ეტაპის შემუშავებასა და დიზაინში და 360 გრადუსიანი შეფასების პროცესში, მათ განაცხადეს, რომ ჯერჯერობით ეს იყო ლიმიტირებული.

თვითშეფასების ანგარიშმა ასევე აღწერა პროცესი, რომელშიც სხვა უნივერსიტეტის

სამედიცინო სკოლების, როგორცაა New Vision უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა, უფროსი აკადემიური წევრებისგან ითხოვეს დამატებითი დახმარება. აშკარა იყო, რომ ბსუ-ს უფროსი აკადემიური პერსონალი მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლეგებთან მთელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით კლინიკური პრაქტიკის თვალსაზრისით და ამან ასევე იმოქმედა კურიკულუმის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

თვითშეფასების ანგარიში აცხადებს, რომ გასაუმჯობესებელი სფეროა: "პროგრამა, მისი მომზადების სხვადასხვა ეტაპზე, უნდა გაიზარდოს შესაფასებლად უცხოურ უნივერსიტეტებში." ეს არის შესანიშნავი წინადადება და რა თქმა უნდა დაეხმარება ბსუ-ს მათი ინტეგრირებული კურიკულუმის უფრო სრულყოფილად შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან;
- ბსუ-ს ვებ-საიტი;
- №10 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ";
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს რეზოლუცია №06-01 / 91 14, 2019 №06-01 / 91);
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის დადგენილება N46);
- უმაღლესი აკადემიური განათლების II დონე აკადემიური პროგრამა: სამედიცინო დოკუმენტი;
- კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული მედიკოსი;
- კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - დიპლომირებული მედიკოსი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ინსტრუქციები გამოცდების ჩასატარებლად;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ურთიერთობები, რომლებიც ბსუ-ს აქვს კოლეგებთან სხვა ქართულ სამედიცინო სკოლებში, რომლებიც სთავაზობენ რჩევებს პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში, შესაძლოა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს პროგრამაზე ზოგიერთი

ამ უფროსი კოლეგის „გარე გამომცდელად“ მოწვევის გზით, რაც შესაძლებელს გახდის რეგულარულ კონტროლს, გაუმჯობესების მიზნით იმ ადამიანებისგან რჩევების მიღებით, რომლებიც მსგავს კონტექსტსა და გარემოში მუშაობენ.

- რამდენადაც უნივერსიტეტი ცდილობს საკუთარ პროგრამაზე მიიღოს ინფორმაცია და რჩევები უცხოური უნივერსიტეტებიდან, საამისოდ ერთ-ერთი შესაძლო მიდგომა იქნება პერსონალისა და სტუდენტთა მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების მოძიება, იმ მოლოდინით, რომ უნივერსიტეტიდან ამ პროგრამით გაგზავნილი პირები დაბრუნების შემდეგ საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ კოლეგებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ნაწილობრივ ინტეგრირებული კურიკულუმი არის ნაბიჯი სრულად ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავებისკენ და ცხადია, რომ ბსუ-მ შეისწავლა ალტერნატიული მოდელები სხვა საუნივერსიტეტო სამედიცინო სკოლებში და გამოიყენა როგორც საკუთარი სტუდენტების, ასევე თანამშრომლებისა და კურსდამთავრებულების გამოხმაურება და სხვების გამოცდილება, რათა დახმარებოდა საკუთარი კურიკულუმის ხელახალი დიზაინის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჯანმრთელობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის უფრო ფართო სამსახურის ნაწილს, რომელსაც აქვს კარგად შემუშავებული სასწავლო პროცესის მონიტორინგის პროცესები. ისინი ამას აკეთებენ მეცადინეობებზე დასწრებით და ტუტორის მუშაობაზე დაკვირვებით, ტრენინგისა და საგამოცდო მასალების შეფასებით, გამოცდების მონიტორინგითა და შედეგების განალიზებით. შემდეგ ისინი ამ შედეგებს იყენებენ აუცილებელი ცვლილებების თაობაზე ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში დასახმარებლად. სასწავლო პროცესის შესაფასებლად სტუდენტთა გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც იყენებს ელექტრონული პორტალის სისტემას სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების დასამუშავებლად. ყველა შედეგი ანალიზდება და დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციის მიღწევის დონე. ნებისმიერი აუცილებელი ცვლილება, რომლის გამოვლენაც მოხდება, განიხილება კურიკულუმის კომიტეტისა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ და შემდეგ წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

მტკიცებულება იქნა წარმოდგენილი პერსონალის გამოკითხვის შესახებ, რომელიც ჩატარდა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრებების გამოსავლენად. თანამშრომლებს ჰკითხეს პროგრამის მიზნებისა და განზრახვების, სწავლის შედეგების კონსტრუქციული თანხვედრის, სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების შედეგების, პროგრამის ხელმძღვანელობის ეფექტურობის შესახებ და თუ რამდენად უწყობდა ხელს პროგრამას არსებული ობიექტები. საერთო ჯამში, თანამშრომლებმა დადებითად შეაფასეს ახალ სტრუქტურა და მათი აზრით მეთოდოლოგია (PBL, CBL, TBL, და OSCE და ა.შ.) იქნებოდა ეფექტური. მიუხედავად ამისა, მათ შესთავაზეს საგნების დამატება ინტეგრაციის გაზრდის მიზნით, კვლევის მეთოდოლოგიაში ტრენინგის გაუმჯობესება და ბსუ-ს სამედიცინო განათლების ცენტრში არსებული სიმულაციური მულაჟების განახლება. ეს პოზიტიური დამოკიდებულება ასევე დადასტურდა როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების მსვლელობისას.

სტუდენტები ასევე იცნობდნენ პროგრამას და გრძნობდნენ თავს ჩართულად ინტეგრირებული ელემენტების შემუშავების დისკუსიაში. ისინი ავსებენ გამოკითხვებს ელექტრონული პორტალის საშუალებით და ინტერვიუში განაცხადეს, რომ როდესაც ისინი წამოჭრიან პრობლემას ფაკულტეტზე, მაშინვე ხდება შესაბამისი რეაგირება. გამოკითხულმა კურსდამთავრებულებმა ასევე განაცხადეს, რომ მათ მიერ დასმული პრობლემები ძირითადად განიხილებოდა, თუმცა ზოგჯერ გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელი იყო კურიკულუმის განრიგის საკითხების გამო. მაგალითად იყო მოყვანილი მოთხოვნა ზოგიერთ საგანში კლინიკური გამოცდილების გაზრდის თაობაზე, რომლის შესახებ გადაწყვეტილების მიღწევა მოხერხდა მხოლოდ ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავების გზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან;
- ბსუ-ს ვებ-საიტი;
- №10 "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ";
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს რეზოლუცია №06-01 / 91 14, 2019 №06-01 / 91);
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის დადგენილება N46);
- უმაღლესი აკადემიური განათლების II დონე აკადემიური პროგრამა: სამედიცინო დოკუმენტი;
- კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული მედიკოსი;
- კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი - დიპლომირებული მედიკოსი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ინსტრუქციები გამოცდების ჩასატარებლად;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | |

| | | | | |
|--|--|--|--|--|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მაირი სკოტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ხათუნა საგანელიძე

თამარ გოდერიძე

გიორგი გაბისონია

დავით მაკასარაშვილი